ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №369446

ნომერი: AR180671

თარიღი : 21.09.2012

გაცემის თარიღი : 27.09.2012

გაცნობის თარიღი : 21.10.2012

შედეგი :

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კაირო , N 20 , (ნაკვ. 02/035) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

თბილისი მნათობის ქ. N 28

ლევან ძნელაძე პ/ნ 01030042651

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ –ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07.03.12. წ. #237079 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ –ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 09/21/2012 წ. #AR180671 განცხადებით მომართა ლევან ძნელაძემ და მოითხოვა 07.03.12. წ. #237079 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში საპროექტო ობიექტის ფუნქციის შცვლა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებთი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ –ქალაქ თბილისის არქიტექტურის

სამსახურის 07.03.12. წ. #237079 გადაწყვეტილებით ქალაქი თბილისი, კაიროს ქუჩა #20–ში სასაწყობე შენობის ასაშენებლად, #01.19.21.002.035 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სამრეწველო ზონაში. დღეისათვის განმაცხადებელი ითხოვს საპროექტო ობიექტის ფუნქციის შემდეგი სახით ჩამოყალიბებას: არსებული შენობის რეკონსტრუქცია–მიშენება–დაშენებით, სასაწყობე ფუნქციით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილება და დამატება მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია შეიტანოს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ –ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07.03.12. წ. #237079 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში და მიეთითოს არსებული შენობის რეკონსტრუქცია–მიშენება–დაშენებით, სასაწყობე ფუნქციით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს შემდეგი ცვლილება და დამატება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ –ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07.03.12. წ. #237079 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ:
საპროექტო ობიექტის ფუნქცია განისაზღვროს – არსებული შენობის რეკონსტრუქცია მიშენება–დაშენებით;
- ობიექტის ფუნქციად დაფიქსირდეს –სასაწყობე;

დაემატოს შენიშვნები შემდეგი რედაქტირებით:
- გრაფაში ,,მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა–ნაგებობების დანგრევა და გატანა ან მათი სივრცით–გეგმარებითი წყობის შეცვლა“ დაემატოს პირობა: – საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს არსებული შენობა–ნაგებობის ნაწილის დემონტაჟი და ტერიტორიიდან გატანა;
- გრაფაში – ,,მშენებლობის დაწყებამდე დამკვეთმა სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლარი და პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით შემდეგი დოკუმენტაცია" დაემატოს მოთხოვნა: –სავალდებულო საექსპერო შეფასება საპროექტო ობიექტის მდგრადობის შესახებ;

სხვა პირობები და მოთხოვნები მოთხოვნები რჩება უცვლელი;

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ –ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07.03.12. წ. #237079 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.